


(!)

აუცილებლად გააკეთეთ ვენოპუნქციის ადგილის დეზინფექცია! (5%-იანი იოდის ხსნარით ერთხელ, შემდეგ ორჯერ 70%-იანი ეთილის სპირტით)


ჭიპლარის სისხლის აღება

რაც შეიძლება მეტი ჭიპლარის სისხლის მოცულობის აღებისათვის, გთხოვთ დაიცავით რეკომენდაციებს! მინიმალური საჭირო მოცულობა - 70 მლ.

ჭიპლარის სისხლის აღება ხორციელდება ბავშვის დაბადების და ჭიპლარის გადაჭრის თანავე.




განათავსეთ ჭიპლარის სისხლის აღების სისტემა პლაცენტის დონის ქვემოთ, რათა მიეცეს საშუალება ჭიპლარის სისხლის დაუბრკოლებლად მიედინოს აღების სისტემაში (ან აამაღლეთ პლაცენტა აღების სისტემის დონის ზემოთ პლაცენტის სწრაფი გაჩენის შემთხვევაში).




გააკეთეთ ჭიპლარის პუნქციის ადგილის დეზინფექცია (ჭიპლარის ნაკვეთი 10-12 სმ გადაჭრის ადგილიდან) და შეიყვანეთ აღების სისტემის ნემსი დეზინფექცირებულ ნაკვეთში. სისხლი, რომელიც ჩადის სისტემაში, თავისუფალი

მოდრაობებით შეურიეთ ანტიკოაგულიანტთან. თუ სისხლი არ ჩადის აღების სისტემაში, გაამოძრავეთ ნემსი ჭიპლარში ან შეიყვანეთ ნემსი პუნქციის ახალ ადგილში, 2 სმ მაღლა წინა ადგილიდან, მისი დეზინფექციის შემდეგ.


აღების სისტემაში ჭიპლარის სისხლის დინების შენელების ან შეჩერების შემდეგ მოუჭირეთ ჭიპლარი ზემოთ (მიმართულებით პლაცენტისკენ), სადაც ვიზუალურად აშკარად ჩანს ჭიპლარის სისხლი სისხლძარღვებში, და, აუცილებლად პუნქციის ახალი ადგილის დეზინფექციის შემდეგ, კვლავ შეიყვანეთ ნემსი ჭიპლარის ვენაში.




ჭიპლარის სისხლის დინების შეჩერების შემდეგ თითებით დაჭირეთ ჭიპლარს პლაცენტასთან ახლოს და გაჭიმული მოძრაობით ჭიპლარის მიმართულებით გააქციეთ ჭიპლარის სისხლის ნარჩენები პუნქციის ადგილამდე.



დაელოდეთ პლაცენტის გაჩენას, გააკეთეთ ჭიპლარის მონაკვეთის დეზინფექცია მისი პლაცენტასთან შეხორცების ადგილის გვერდზე და გააგრძელეთ ჭიპის სისხლის აღება, შეიყვანეთ ნემსი ვენაში ამ მონაკვეთზე.



ჭიპლარის სისხლის სისტემაში ჩასვლის საბოლოო შეჩერების შემდეგ გამოიღეთ ნემსი ჭიპლარიდან და აწიეთ ის ზევით, რომ ჭიპის სისხლის ნარჩენები მიიღიდან ჩავიდნენ აღების სისტემაში.



მჭიდროდ შეკარით ორი კვანძი სისტემის მილზე (პირველი კვანძი 10-15 სმ მოშორებით ადების სისტემიდან, მეორე 10-15 სმ მოშორებით პირველიდან). გადაჭერით სისტემის ნემსი.



განათავსეთ სისტემა აღებული ჭიპლარის სისხლთან ერთად ჭიპლარის სისხლის საოჯახო ბანკი „ჰემაფონდი“-ს თერმოკონტეინერში, ხოლო შევსებული თანდართული დოკუმენტაცია დამცავ ფაილში - თერმოჩანთაში.

თითოეული წვეთი - სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია!

ბიომასალის „ჰემაფონდი“-სადების შესახებ აუცილებლად შეატყობინეთ ტელეფონზე: კიევი (044)496-09-26 უკრაინის სხვა ქალაქებში (067)214-13-29 (098)496-09-26

ან დაუკავშირდით „ჰემაფონდი“-ს ოფიციალურ წარმომადგენელს


აუცილებლად გააკეთეთ ჭიპლარის ფადაჭრის ადგილის დეზინფექცია! (5%-იანი იოდის ხსნარით ერთხელ, შემდეგ ორჯერ 70%-იანი ეთილის სპირტით)

ჭიპლარის ქსოვილის აღება


ჭიპლარის ქსოვილის აღება ხორციელდება ჭიპლარის სისხლის ადების შემდეგ!




საჭიროა ჭიპლარის ფრაგმენტის გადაჭრის სავარაუდო ადგილის დეზინფექცია



გადაჭერით 10-15 სმ სიგრძის ფრაგმენტი . გაასუფთავეთ იგი სტერილური ხელსახოცით



გახსენით სტერილური სინჯარა სატრანსპორტო ნივთიერებით და ჩადეთ ჭიპლარის ფრაგმენტი.



მჭიდროდ ჩაკეტეთ სინჯარა და მოათავსეთ იგი თერმოგამმლე ჭურჭელში.



თერმოგამძლე ჭურჭელი მოათავსეთ ჭიპლარის სისხლის საოჯახო ბანკი „ჰემაფონდი“-ს კონტეინერში.

ბიომასალის „ჰემაფონდი“-საღების შესახებ აუცილებლად შეატყობინეთ ტელეფონზე:
კიევი (044)496-09-26 უკრაინის სხვა ქალაქებში(067)214-13-29
(098)496-09-26
ან დაუკავშირდით „ჰემაფონდი“-ს ოფიციალურ წარმომადგენელს